



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვებსტერ უნივერსიტეტი ინკ. - ის
ფილიალის საქართველოში ავტორიზაციის პირობების შესრულების
შემოწმების შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო

წევრები:

ეკატერინე ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

დავით კაკიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2024

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ.-ის ფილიალი საქართველოში
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	(უცხოური საწარმოს ფილიალი) ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. -ის ფილიალი საქართველოში
სახე	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ი. ჭავჭავაძის გამზირი 82, თბილისი, საქართველო, 0162
ვებ-გვერდი	https://www.webster.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 27/12/2021 MES 2 21 0001423284 გადაწყვეტილების საფუძველზე, ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალს საქართველოში მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, ხოლო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით დადგინდა 2 წლის ვადა.
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	7/12/2026

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები²

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	8
ბაკალავრიატი	6
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	-
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	8
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ³	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა	1080
--	------

² იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

³ იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	56	26	-
ბაკალავრიატი	47	19	-
მაგისტრატურა	9	7	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	13	14	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	53
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	19
- პროფესორი	6
- ასოცირებული პროფესორი	7
- ასისტენტ პროფესორი	4
- ასისტენტი	2
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	14
- აფილირებული პროფესორი	6
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	4
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	4
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	9
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	3
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	3
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	28

შენიშვნა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1131.78
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	640,73
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	491.05

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____ 05/06/2024 _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
რეკომენდაცია 1. რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში მიეთითოს თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებული ფინანსები და აუცილებელი რესურსები	რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-მ განახორციელა სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება და ხელახლა შეიმუშავა SWOT ანალიზი. თითოეულ აქტივობასთან მიმართებით განსაზღვრულია ფინანსური რესურსების წყარო და მუხლი, რომელიც მოცემულია ბიუჯეტში.
რეკომენდაცია 2. რეკომენდებულია გაზომვადი ინდიკატორების ჩამოყალიბება;	რეკომენდაცია შესრულებულია. როგორც აღვნიშნეთ, უსდ-მ მოახდინა სტრატეგიული გეგმის

	მოდირიცირება. სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობის შესრულება ფასდება შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორებით.
რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	რეკომენდაცია შესრულებულია. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე გარკვეული დონით იყო ჩართული.
რეკომენდაცია 4. რეკომენდებულია შემუშავდეს ინსტიტუციური მენეჯმენტის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობის შესაბამისი კრიტერიუმები და არჩევის/დანიშვნის პროცედურა; უზრუნველყავით, რომ მენეჯმენტის შემადგენელი თითოეული პიროვნება და ერთეული არჩეული/დანიშნული იყოს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, კანდიდატების ხედვისა და გეგმების განხილვის საფუძველზე;	რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს მიერ შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომელშიც გაწერილია ფილიალის მართვის ორგანოები, სტრუქტურა და იერარქია. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია რექტორის დანიშვნის წესი, რექტორის უფლებამოსილებები, აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესი და მისი უფლებამოსილებები, მოწვევისა და ჩატარების პროცედურები. გარდა ამისა, დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ადმინისტრაციის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. უსდ-ში ასევე შემუშავებულია მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები.
რეკომენდაცია 5. რეკომენდებულია დაწესებულების ყველა ერთეულის ეფექტურად ჩართვა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში;	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია ფილიალის მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესში.
რეკომენდაცია 6. რეკომენდებულია გაფართოვდეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და დაწესებულებამ განახორციელოს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება და აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევაზე;	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ინსტრუმენტები. შეფასება ეფუძნება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის კვლევას.
რეკომენდაცია 7. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ჩატარებული გამოკითხვების მიღებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და დეტალური ანალიზი;	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი.
რეკომენდაცია 8. რეკომენდებულია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვისა და პერსონალის რაოდენობის გონივრული განსაზღვრა.	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში და პერსონალის მართვის დოკუმენტში აღწერილია 360 გრადუსიანი შეფასების სისტემა.
რეკომენდაცია 9. რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მთელი პერსონალის მუშაობის მიმოხილვის სისტემას, რათა მან მიიღოს	რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტუდენტების

360 გრადუსიანი შეფასების სახე და მოიცავს სტუდენტებისა და კოლეგების შეხედულებები;	რაოდენობის გაზრდის პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია უსდ-ში ისეთი გეგმის შექმნა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში. უსდ გეგმავს მომდევნო 8 წლის განმავლობაში სტუდენტების რაოდენობის გაზრდას შემდეგი ზრდის ტემპით
რეკომენდაცია 10. რეკომენდებულია გადახედოთ პროგრამების სილაბუსების აგებულებასა და შინაარსს, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მათ შორის სასწავლო მასალები/ლიტერატურა პროგრამის განხორციელების მხარდასაჭერად და ასევე შეფასების მეთოდები.	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა 866 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგად სახელმძღვანელოს. დოკუმენტში გაერთიანებულია ინფორმაცია ყველა სასწავლო კურსის შესახებ და მოცემულია შემდეგი მონაცემები: კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საათები, სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, დასწრების პოლიტიკა და სხვა.
რეკომენდაცია 11. რეკომენდებულია სილაბუსებში შეფასების სისტემის ნათლად აღწერა	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია. ინტერვიუს შედეგად სტუდენტებმა დაადასტურეს სასწავლო კურსების ფარგლებში შეფასების კრიტერიუმების დეტალური ცოდნა.
რეკომენდაცია 12. რეკომენდებულია შეფასების სისტემის არსებითად განაახლება, რათა გასწორდეს მასში არსებული ხარვეზები და უზრუნველყოფილი იყოს, რომ ის იყოს სამართლიანი და პასუხობდეს მიზანს;	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 866 გვერდიანი დოკუმენტში, სილაბუსებში გაწერილია შეფასების სისტემა (ფორმები, კომპონენტები). შეფასების ფორმები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით.
რეკომენდაცია 13. რეკომენდებულია პროცედურის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას სამუშაო გარემოში და მათ ეფექტიან ჩართულობას სამუშაო პროცესში	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის დოკუმენტში აღწერილია ახალი თანამშრომლის ინტეგრირების მიზნით განსაზღვრული მექანიზმები -საორიენტაციო შეხვედრები, რეგულარული შეხვედრები უშუალო ხელმძღვანელთან, ადამიანური მართვის სამსახურთან მჭიდრო მუშაობა და სხვა. პროცედურა დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში. ინფორმაცია დაადასტურა ადმინისტრაციულმა პერსონალმა.
რეკომენდაცია 14. რეკომენდებულია, განსაზღვროს შესაბამისი შიდა სამიზნე ნიშნულები ცალკეული ერთეულებისა და თანამდებობებისთვის, რათა მოხდეს საკუთარი წარმატებისა და წარმატებულობის შეფასება სტრატეგიული და ოპერაციული გეგმებიდან გამომდინარე	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის დოკუმენტში აღწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების გაზომვის მექანიზმები. ინტერვიუს შედეგად ინფორმაცია დაადასტურდა.
რეკომენდაცია 15. რეკომენდებულია, რომ სათანადოდ შესრულდეს პასუხისმგებლობები დამსაქმებელთა მენეჯმენტის სფეროში, როგორიცაა: პოტენციურ დამსაქმებლებზე	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის დოკუმენტში აღწერილია სტაჟირების პროგრამების

ინფორმაციის მოძიება, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელება, დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მუდმივი ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობებზე/ვაკანსიებზე	შესაძლებლობები. პროგრამების მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება.
რეკომენდაცია 16. რეკომენდებულია სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს სტიპენდიებს, გრანტებს და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერას; შეიმუშავეთ სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი მექანიზმები, რომელიც მორგებულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერაზე; წაახალისეთ სტუდენტები და მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის დაუნიშნეთ სტიპენდიები.	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის წესი, სადაც გაწერილია სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს: სტიპენდიებს, გრანტებს, სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიან პირობებს, 'work-study' პროგრამებს. ფილიალში დადგენილია სტიპენდია, რომელიც ენიჭება სტუდენტს მისი გამორჩეული აკადემიური მიღწევებისთვის, ლიდერობის უნარების და სხვა გამორჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისთვის.
რეკომენდაცია 17. რეკომენდებულია ავტორიზაციით მოთხოვნილი სტუდენტური კონტიგენტის შესაბამისად უზრუნველყოთ მატერიალური რესურსები.	რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან დაწესებულებამ განაახლა ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელშიც მოცემულია ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი.
რეკომენდაცია 18. უსდ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის პარალელურად, რეკომენდებულია მატერიალური რესურსების ზრდა.	რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-მ განახორციელა სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება და ხელახლა შეიმუშავა SWOT ანალიზი. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმას, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან: აქტივობა, პასუხისმგებელი პირი, ფინანსური რესურსი, შესრულების პერიოდი და ინდიკატორები. თითოეულ აქტივობასთან მიმართებით განსაზღვრულია ფინანსური რესურსების წყარო და მუხლი, რომელიც მოცემულია ბიუჯეტში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან სამოქმედო გეგმის აქტივობებს ბიუჯეტი უზრუნველყოფს.
რეკომენდაცია 19. რეკომენდებულია ფინანსური პოლიტიკის საბჭოს ფორმირებისა ფუნქციონირების წესის განსაზღვრა, რათა მოხდეს ბიუჯეტირების გამჭვირვალობის პროცესის შეფასება.	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ განაახლა ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელშიც მოცემულია ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი.
რეკომენდაცია 20. რეკომენდირებულია ბიუჯეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმვა.	უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პოლიტიკა, რომლის მიზანია უსდ-ის მიერ ისეთი გეგმის შემუშავება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება ფილიალის რესურსების ზრდა, სტუდენტთა კონტინგენტის

	დივერსიფიცირება და მდგრადი განვითარება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის სათანადო განსაზღვრის გზით.
რეკომენდაცია 21. რეკომენდებულია, დაიხვეწოს დოკუმენტი, „ფინანსური მართვის პოლიტიკა - ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი“, და პრაქტიკაში დაინერგოს ეს დოკუმენტი.	უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პოლიტიკა, რომლის მიზანია უსდ-ის მიერ ისეთი გეგმის შემუშავება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება ფილიალის რესურსების ზრდა, სტუდენტთა კონტინგენტის დივერსიფიცირება და მდგრადი განვითარება მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის სათანადო განსაზღვრის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული იყო 21 რეკომენდაცია. უსდ-მ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
	1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
	2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐

3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

დავით სიხარულიძე



2. სახელი, გვარი (წევრი)

ეკატერინე ფიფია



3. სახელი, გვარი (წევრი)

დავით კაკიაშვილი



4. სახელი, გვარი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
რეკომენდაცია 1. რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში მიეთითოს თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებული ფინანსები და აუცილებელი რესურსები
რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-მ განახორციელა სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება და ხელახლა შეიმუშავა SWOT ანალიზი. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმას, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან: აქტივობა, პასუხისმგებელი პირი, ფინანსური და სხვა

აუცილებელი რესურსები, შესრულების პერიოდი და ინდიკატორები. თითოეულ აქტივობასთან მიმართებით განსაზღვრულია ფინანსური რესურსების წყარო და მუხლი, რომელიც მოცემულია ბიუჯეტში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან სამოქმედო გეგმის აქტივობები დაკავშირებულია ფინანსურ და სხვა რესურსებთან, რომლებიც აუცილებელია დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად. რეკომენდაცია 2. რეკომენდებულია გაზომვადი ინდიკატორების ჩამოყალიბება; რეკომენდაცია შესრულებულია. როგორც აღვნიშნეთ, უსდ-მ მოახდინა სტრატეგიული გეგმის მოდიფიცირება. სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობის შესრულება ფასდება შესაბამისი ინდიკატორებით. ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოყენებული ინდიკატორები გაზომვადია. კერძოდ, სამოქმედო გეგმა მოიცავს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ ინდიკატორებს. რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა რეკომენდაცია შესრულებულია. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე გარკვეული დონით იყო ჩართული.	მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული გეგმა • ბიუჯეტი • გასაუბრების შედეგი
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.	რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას. 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

რეკომენდაცია 4. რეკომენდებულია შემუშავდეს ინსტიტუციური მენეჯმენტის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობის შესაბამისი კრიტერიუმები და არჩევის/დანიშვნის პროცედურა; უზრუნველყავით, რომ მენეჯმენტის შემადგენელი თითოეული პიროვნება და ერთეული არჩეული/დანიშნული იყოს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, კანდიდატების ხედვისა და გეგმების განხილვის საფუძველზე;

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს მიერ შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომელშიც გაწერილია ფილიალის მართვის ორგანოები, სტრუქტურა და იერარქია. დოკუმენტი ასევე მოიცავს გენერალური ანსამბლელის დაკომპლექტების წესს, მათ უფლებამოსილებებს, გენერალური ანსამბლელის მოწვევისა და სხდომის ჩატარების პროცედურებს.

ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია რექტორის დანიშვნის წესი, რექტორის უფლებამოსილებები, აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესი და მისი უფლებამოსილებები, მოწვევისა და ჩატარების პროცედურები. გარდა ამისა, დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ადმინისტრაციის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

უსდ-ში ასევე შემუშავებულია მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც 19 მუხლისგან შედგება. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს გენერალური ანსამბლელის წევრების, რექტორის, რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს წევრების, ადმინისტრაციის უფროსის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის, საქმისწარმოების მენეჯერის, იურისტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის, მარკეტინგის მენეჯერის, სტუდენტთა მიღების კონსულტანტის, სამეურნეო ოფისის თანამშრომლების, ექიმის, ფინანსური მენეჯერის, სტუდენტური საკითხებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლის, განათლების დეპარტამენტის თანამშრომლის, აკადემიური პროცესის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლის შერჩევის კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მართვის ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები;
- სტრუქტურული ერთეულების დებულება

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია 5. რეკომენდებულია დაწესებულების ყველა ერთეულის ეფექტურად ჩართვა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში. რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია ფილიალის მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თანამშრომლობს აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ეს თანამშრომლობა. ხარისხის სამსახურის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შეფასება ხდება ცენტრალიზებულად (კითხვარის საფუძველზე). ხარისხის სამსახურის მენეჯერი აწყობს შეხვედრებს ფოკუს ჯგუფებთან. რეკომენდაცია 6. რეკომენდებულია გაფართოვდეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და დაწესებულებამ განახორციელოს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება და აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევაზე. რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ინსტრუმენტები (გვ.32). დოკუმენტის მიხედვით ხდება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ყოველწლიურად. შეფასება ეფუძნება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის კვლევას. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დასაქმებულები წელიწადში ერთხელ ავსებენ თვითშეფასების დოკუმენტს; აქვთ ხშირი შეხვედრები უშუალო ხელმძღვანელებთან. უშუალოდ ადმინისტრაციის წევრების თქმით მათ საქმიანობას აფასებს მათი უშუალო ხელმძღვანელი. რეკომენდაცია 7. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ჩატარებული გამოკითხვების მიღებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და დეტალური ანალიზი; რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი.

რეკომენდაცია 8. რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მთელი პერსონალის მუშაობის მიმოხილვის სისტემას, რათა მან მიიღოს 360 გრადუსიანი შეფასების სახე და მოიცვას სტუდენტებისა და კოლეგების შეხედულებები;

რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში და პერსონალის მართვის დოკუმენტში აღწერილია 360 გრადუსიანი შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს დასაქმებულის გარშემო არსებულ ყველა მიმართულებას, მათ შორის, თვითშეფასებას, კოლეგების შეფასებას, უშუალო ხელმძღვანელების შეფასებას, ფუნქციურად დაქვემდებარებული პირების მიერ შეფასებას, სტუდენტებისა და ლექტორების შეფასებას. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები ყოველ სემესტრულად აფასებენ ადმინისტრაციას, ლექტორებსა და სასწავლო კურსებს.

რეკომენდაცია 9. რეკომენდებულია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვისა და პერსონალის რაოდენობის გონივრული განსაზღვრა

უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია უსდ-ში ისეთი გეგმის შექმნა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში. უსდ გეგმავს მომდევნო 8 წლის განმავლობაში სტუდენტების რაოდენობის გაზრდას შემდეგი ზრდის ტემპით:

2023-2024 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 4.62%-ს; 2024-2025 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 6.94%-ს; 2025-2026 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 16.20%-ს; 2026-2027 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 27.77%-ს; 2027-2028 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 41.66%-ს; 2028-2029 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 55.55%-ს; 2029-2030 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 74.07%-ს; 2030-2031 აკადემიურ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება მაქსიმალური კონტინგენტის 92.59%-ს.

კონტინგენტის ზრდასთან ერთად, უსდ გეგმავს უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები. პერსონალის რაოდენობასა და პოლიტიკას განსაზღვრავს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულება;
- კითხვარების შედეგების ანალიზი;
- ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პოლიტიკა.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

